გამოვიდა ჟურნალის „ეკლესია და დრო“ მორიგი ნომერი



სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 19.01.2024. გამოვიდა სამეცნიერო-საღვთისმეტყველო და საეკლესიო-საზოგადოებრივი ჟურნალის, „ეკლესია და დრო“, 104-ე ნომერი (2023 წლის №3/4), რომელსაც უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით გამოსცემს წმინდა მოციქულთასწორთა კირილესა და მეთოდეს სახ. ზოგადსაეკლესიო ასპირანტურა და დოქტორანტურა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საქმეთა საეკლესიო კავშირების განყოფილებასთან ერთად. ნომერში წარმოდგენილია მასალები ეკლესიოლოგიის, ლიტურგიკული ღვთისმეტყველების, ეკლესიის ისტორიისა და სამრევლო ცხოვრების შესახებ, – იუწყება ზსად-ის ვებგვერდი.

ჟურნალის ახალი ნომერი იხსნება 2023 წლის 19 ივლისს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებაზე მოწონებული და იმავე წლის 24 აგვისტოს წმინდა სინოდის მიერ დამტკიცებული ფუნდამენტური ოფიციალური დოკუმენტის – **„ეკლესიის შესახებ მართლმადიდებლური სწავლების შერყვნის თაობაზე კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს იერარქიის საქმეებსა და მისი წარმომადგენლების გამოსვლებში“ – გამოქვეყნებით. პუბლიკაციის შესავალ სიტყვაში**

მღვდელმონაზონ პავლეს (ჩერკასოვი) მიერ გადმოცემულია ამ დოკუმენტის შექმნის მიზეზები და ეტაპები.

წმინდა ანდრიას მონასტრის წინამძღვრის, ღვთისმეტყველების კანდიდატის, იღუმენ დიონისეს (შლიონოვის) განვრცობილ პოლემიკურ სტატიაში უარყოფილია თანამედროვე თეორიის ზოგიერთი ძალიან სადავო დებულება, რომელსაც მხარს უჭერს და ავითარებს რიგი ბერძენი კანონისტი და ღვთისმეტყველი. აღნიშნული თეორიის თანახმად, კონსტანტინოპოლის პატრიარქს მართლმადიდებელ ეკლესიაში პატივისა და ძალაუფლების პირველობა აქვს. პოლემიკის კონტექსტში ავტორი მიმართავს XVI-XVII საუკუნეების – მათ შორის, კონსტანტინოპოლის მიერ კიევის მიტროპოლიის მოსკოვისთვის გადაცემასთან დაკავშირებულ – წყაროებს. ერთ-ერთი ასე წყაროა იერუსალიმის პატრიარქის, წმინდა მღვდელთმთავარ დოსითეოს II-ის (ნოტარა) წერილი. ისტორიული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსკოვის საპატრიარქოს წინააღმდეგ გამოთქმულ ბრალდებებს, საკუთარი ძალაუფლების გაფართოების თაობაზე, არანაირი ისტორიულ-კანონიკური საფუძველი არ გააჩნია.

ნიკოლო-უგრეშის სასულიერო სემინარიის რექტორის, სტავროპიგიულური ნიკოლო-უგრეშის მონასტრის წინამძღვრის, ღვთისმეტყველების დოქტორის, იღუმენ მეთოდეს (ზინკოვსკი) სტატია ეძღვნება „რუსული სამყაროს“ კონცეფციის იდეური პრინციპების საღვთისმეტყველო დასაბუთებას. მისი საფუძვლები ჩანს ქრისტიანობის მთავარ ჭეშმარიტებებსა და ონტოლოგიაში, სამყაროსა და ადამიანის მართლმადიდებლურ გაგებაში, კაცობრიობის მოწოდებაში შეკრებისკენ, როგორც ჰიპოსტასური არსებობის ხატებისკენ, – რომელიც აერთიანებს ერთობასა და მრავალფეროვნებას მსგავსად წმიდა სამების საღვთო პირებისა, – წუთისოფელში მისიონერული მსახურების პრინციპში ქრისტეს ხატისაებრ. ასეთ პერსპექტივაში „რუსული სამყაროს“ კონცეფცია თავისი არსით წინააღმდეგობას უწევს სამომხმარებლო საზოგადოების თანამედროვე იდეალებს, გლობალიზაციის მოძრაობას და რელიგიურ სინკრეტიზმს, რომელიც ქრისტიანულ სწავლების ნიველირებას ახდენს პიროვნული ღმერთისა და მისი განგებულების შესახებ თითოეულ ერთან და ცალკეულ ადამიანთან მიმართებით.

ნოვოდევიჩის სტავროპიგიალური დედათა მონასტრის კლირიკოსმა, ღვთისმეტყველების კანდიდატმა, მღვდელმა ალექსანდრე სუხარევმა გამოიკვლია ღვთისმსახურებაში „აქტიური მონაწილეობის“ ცნება მის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში კათოლიკე ეკლესიის ისტორიის XX–XXI საუკუნეების პერიოდში. ცნების გამოკვლევა, რომელიც გამოჩნდა საეკლესიო სიძველეების ეპოქისადმი კათოლიციზმის ინტერესის აღორძინების კონტექსტში, ეფუძნება კათოლიკური ეკლესიის ოფიციალური დოკუმენტების მასალას, „ლიტურგიული მოძრაობის“ და „საწყისებთან დაბრუნების“ მოძრაობის გამოჩენილი წარმომადგენლების იდეების ახსნას, ასევე, ზოგიერთი ცნობილი თანამედროვე დასავლელი ღვთისმეტყველის ნაშრომს. ავტორმა შეძლო, დაედგინა, ძირითადი ხაზი ლიტურგიაში მონაწილეობის მნიშვნელობის განმარტებასთან მიდგომებში, რომელიც ძირითადად მომართულია იმაზე, რომ შეცვალოს და აღამაღლოს მლოცველები, შეიყვანოს ისინი საღვთო მყოფობის იდუმალ სამყაროში. მთლიანობაში ეს კათოლიკური კონცეპტი საინტერესოა იმით, რომ მიუთითებს საეკლესიო ტრადიციის წარუვალ მნიშვნელობაზე, სადაც „ლოცვის კანონში“ გამოხატული მარადიული და უცვლელი ჭეშმარიტებები დროში პოულობენ თავის შემოქმედებით განხორციელებას.

შორეული საზღვარგარეთის საკითხებში მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების მდივნის, ღვთისმეტყველების კანდიდატის, დეკანოზ სერგი ზვონარიოვის სტატია ეძღვნება რუსეთისა და კონსტანტინოპოლის მართლმადიდებელი ეკლესიების ურთიერთობას

გამოჩენილი იერარქის, საგარეო საეკლესიო ურთიერთობის განყოფილების მეორე თავმჯდომარის, ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტ ნიკოდიმის (როტოვი) მოღვაწეობის პერიოდში. მიტროპოლიტი ნიკოდიმი დიდ ყურადღებას აქცევდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან კომუნიკაციასა და ურთიერთობას, დახვეწილი დიპლომატიური ინტუიციით ითვალისწინებდა ფანარიონის როლს მართლმადიდებლურ სამყაროში და მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. სტატიაში შემოხაზულია საკვლევ პერიოდში ორი ადგილობრივ ეკლესიას შორის ინტენსიური კონტაქტების ფართო თემატიკა: ყოვლადმართლმადიდებლური კრების მომზადება, მართლმადიდებლთაშორისი თანამშრომლობა, კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მხრიდან ეკლესიათა ავტოკეფალური და ავტონომიური სტატუსის აღიარება, საეკლესიო ტერიტორიების იურისდიქციული კუთვნილება, დიალოგი რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან, ასევე, პროტესტანტულ და ძველ აღმოსავლურ ეკლესიებთან, ეკუმენური დიალოგი, რუსული მონაზვნობის მდგომარეობა ათონის წმინდა მთაზე. ავტორის მიერ გრეთვე აღნიშნულია კომპრომისების მიღწევის ძალისხმევა ორმხრივი ურთიერთობის ურთულესი საკითხების გადაწყვეტაში.

სერგის წმინდა სამების ლავრის მკვიდრის, მღვდელმონაზონ გურიის (გუსევი) პუბლიკაციას წვლილი შეაქვს სერგი-პოსადის აღდგომის ტაძრის სინოდიკონის შედგენაში, რომელიც გადმოცემის თანახმად, შექმნილია 1608-1610 წლებში პოლონელ-ლიტველი დამპყრობლებისგან ლავრის დამცველთა ხსოვნის საპატივცემულოდ. სამრევლო ეკლესიის ისტორიული ეპოპეების აღწერის გარდა, როგორც ქვეყნის საგანმანათლებლო და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილისა, სტატიას აქვს გარკვეული სულიერი და პრაქტიკული მნიშვნელობა – გარდაცვლილი სასულიერო პირებისა და მრევლის ლოცვითი ხსოვნის შენარჩუნება, რათა, ავტორის სიტყვებით, ლოცვის მეშვეობით „შევინარჩუნოთ მათთან ცოცხალი ურთიერთობა“, რამეთუ „ეკლესიაში არ არის გაყოფა ცოცხლებსა და მკვდრებზე, ღმერთისთვის ხომ ყველა ცოცხალია“ (შდრ. ლკ. 20:38).

ჟურნალ „ეკლესია და დრო“-ს შეძენა შესაძლებელია ***საპატრიარქოს ჩერნიგოვის მეტოქიონის წიგნების პალატაში*** *(პიატნიცკაიას ქ., 6/1 კორპ. 3).*

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91270/